ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3956540

ნომერი: AR1598432

თარიღი : 03.05.2018

გაცემის თარიღი : 11.05.2018

გაცნობის თარიღი : 15.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N80ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამედ ჰასან გივე ჩიან პ/ნ 01397002737
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 3ბ

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3458170
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.09.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

1. დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული ფოტომასალა - 0-1 ფასადზე 7-6 და 5-4 ღერძებში განთავსებული ნიშების ასახვით (და ამ ნიშაში გამავალი ღიობების ფიქსაციით); ასევე საჭიროა წარმოადგინთ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული გეგმების ანაზომი;
2. ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ აქტში დადგენილი დარღვევებიდან საჭიროა გამოსწორდეს შემდეგი:
- სამშენებლო სამუშაოები საწიროა დასრულდეს (დემონტირდეს ამწე...);
- მოეწყოს შშმპ-ს მექანიკური ამწე;
- საავტომობილო პანდუსის დახრა მოვიდეს ნორმებთან შესაბამისობაში (დამაგრდეს საგზაო ნიშანი);
- ავტოსადგომის სართულზე მოეწყოს ტამბური;
ყოველივე ზემოთქმულის გამოსწორების შემდგომ, საჭიროა საკითხი დააყენოთ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აქტში ცვლილების შეტანაზე - აღნიშნულის ასახვით, რის შემდგომაც შესაძლებელია საკითხი კვლავ დააყენოთ განხორციელებული მშენებლობის დადასტურებაზე.
3. საჭიროა დეტალურად განმარტოთ განხორციელებული სამუშაოებით შეიცვალა თუ არა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართები. თუ განხორციელებული სამუშაოებით შეიცვალა მომავალი მესაკუთრეების, მყიდველის ფართები, საჭიროა ყველა იმ პირის (ორგანიზაციის) თანხმობის წარმოდგენა ვისი ფართიც იცვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge